

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში ირიცხებოდა აკადემიის 14 წევრი, მათ შორის 7 აკადემიკოსი და 7 წევრ-კორესპონდენტი.

2007 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 8 მონოგრაფია და წიგნი, 3 კრებული და 48 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები:

აკად. მ.ლორთქიფანიძე

„ჩემი გზა (ზოგი რამ, რაც გამახსენდა)“ (ოსუ გამომცემლობა, თბილისი, 4 ნ.თ.).

წარმოდგენილია: პირადი მოგონებები მასწავლებლებზე (სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი); ქართველი აკადემიკოსების ერთი აქცია ეროვნული ისტორიისა და ეროვნული ენის დასაცავად; ვერმიშევის წიგნის გამო; შეხვედრები რიჩარდ პაიპსთან; ილარიონ ტალახაძის წიგნის განხილვა და სხვ.

აკად. რ.მეტრეველი

1) „კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 5,5 ნ.თ.).

კავკასიური ცივილიზაცია განხილულია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. ნაჩვენებია, რომ კავკასიას ევრაზიულ სივრცეში განსაკუთრებული ადგილი უკავია. დასმულია ამოცანა, რათა საერთო გლობალიზაციის სისტემაში არ დაიკარგოს კავკასიური ცივილიზაცია. ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ კულტურული საუნჯეები, რაც ასე უხვად აქვს კავკასიელ ხალხებს, გადარჩეს და შევიდეს მსოფლიო საგანძურში.

2) „მკვიდრი უმკვიდრო შვიქენ“ – საარქივო მასალები ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა ურთიერთობის შესახებ (თანაავტორობით, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 7,5 ნ.თ.).

ნაშრომში სათანადო კომენტარით, რუსული და ინგლისური რეზიუმეებით, საძიებლებით გამოქვეყნებულია რუსეთის სახელმწიფო არქივში (РГАДА) მოპოვებული მასალები ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა ურთიერთობის (კერძოდ, დავა მემკვიდრეობისათვის) შესახებ. გამოქვეყნდა ყველა დოკუმენტის ფოტოპირი (სრულად), რუსული ვარიანტები და მათი ქართული თარგმანი კომენტარითურთ.

აკად.წვერ-კორ. ვაპაპავა

1) „ცენტრალური კავკასია: ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა“ (თანაავტორობით; "Мысль", მოსკოვი, რუსულ ენაზე, 12,1 ნ.თ., ითარგმნა და გამოიცა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, თბილისი, ბაქო).

გამოკვლეულია კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. გაანალიზებულია მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციები გლობალიზაციის პირობებში. მოცემულია კავკასიის ეკონომიკური სივრცის ძირითადი პარამეტრების შედარებითი შეფასება. გახსნილია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების, ერთმანეთთან და საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მათი ურთიერთობის თავისებურებანი. წიგნი განკუთვნილია კავკასიის, ახალი რეგიონალიზმისა და გარდამავალი ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერთა, პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და პრაქტიკულ მუშაკთათვის.

2) „თავისუფალი ეკონომიკური ზონა – უკვდავი იდეა“ (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, სერია „ექსპერტის აზრი“, №2).

3) „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ (სერია „Аналитические записки“, №1, 3 ნ.თ., რუსულ ენაზე).

აკად.წვერ-კორ ა.სილაგაძე

1) „ეკონომიკური დოქტრინები შუა საუკუნეებში“ (თსუ გამომცემლობა, თბილისი, 4 ნ.თ.).

გაანალიზებულია: შუა საუკუნეების ეკონომიკური აზროვნების ძირითადი მახასიათებლები; ეკონომიკური აზროვნება ადრეულ და განვითარებულ ეპოქაში („სალიკური კანონები“, „კაპიტულარები ვიღების შესახებ“, კანონისტები და თ.აქვინელი, ა.ბოლშტედტი, ნ.ორემი, იბნ-ჰაღდუნი); ფეოდალური რუსეთის ეკონომიკური იდეები („რუსკაია პრავედა“, ერმოლაი-ერაზმი); შუასაუკუნეობრივი ერესის ანუ გლეხთა აჯანყებების ეკონომიკური მოთხოვნები.

2) „მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინა“ (თანაავტორობით; თსუ გამომცემლობა, თბილისი, 5,5 ნ.თ.).

გამოკვლეულია მერკანტილისტული დოქტრინის წარმოშობა და განვითარება. კერძოდ, განხილულია მერკანტილიზმის განვითარების ძირითადი ეტაპები (ადრინდელი და გვიანდელი ანუ განვითარებული). შესაბამისად, გაანალიზებულია ჟ.ბოდენის, ა.მონკრეტიენის, ჟ.კოლბერის, თ.მენის, კამერლისტებისა და სხვათა შეხედულებები სამრეწველო პოლიტიკის, სიმდიდრის, ფულისა და ვაჭრობის შესახებ.

ბ) კრებულები

1) „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს“ (შემდგენელი აკად. რ.მეტრეველი).

კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, აკადემიის საპატიო აკადემიკოსს, აღსაყდრებიდან 30-

და დაბადებიდან 75-ე წლისთავზე. კრებულში თავმოყრილია ქართველი და უცხოელი მოღვაწეების მისაღმებები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ეროვნული – სასულიერო და საერო – საქმიანობის ამსახველი წერილები.

2) „ფილოსოფია – დვთისმეტყველება – კულტურა. პრობლემები და პერსპექტივები“ (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. გურამ თევზაძის 75 წლისთავისადმი, სრული ბიბლიოგრაფიით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, გამომცემლობები „ნეკერი“ და „არხე“, თბილისი, 564 გვ.).

კრებულში შესულია ქართველ და უცხოელ ავტორთა სტატიები ქართულ, გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

3) „თამარ გამსახურდია – 70. მშვენიერება, მოსილი სევდით“ (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი, გამომცემლობა „ნეკერი“, 428 გვ.).

გ) სტატიები

აკად. ლ.ალექსიძე

„საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საქართველოს კონსტიტუცია“ (საერთაშორისო კონფერენციის „ბალკანეთისა და შავი ზღვის ქვეყნებში საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა“ მასალები. საჯარო სამართლის აკადემია, ათენი, 20 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: რა ურთიერთობა არსებობს საერთაშორისო სამართალსა და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის. იმის გამო, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები კაცობრიობის განვითარების დღევანდელი საფეხურისათვის ზოგადდემოკრატიულ პრინციპებს ასახავს, მათი ზეგავლენა შიდასახელმწიფოებრივ სამარ-

თაღზე უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც სახელმწიფო-თა საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციური აქტები (1991 წლის აქტი და 1995 წლის კონსტიტუცია), რომლებიც აღიარებენ საერთაშორისო სამართლის პრინციპს საერთოდ, ხოლო ადამიანის უფლებათა სფეროში უშუალოდ მოქმედი სამართლის ძალას აძლევენ, უაღრესად დიდი წარმატებაა საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის.

აკად. გ.თევზაძე

1) „ს.წერეთლის დიალექტიკური ლოგიკის გაგებისათვის“ (სავლეთ-სადასავლეთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 15-38).

დიალექტიკური ლოგიკის ს.წერეთლისეული გაგება XX ს. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება. ნაცადია იმ წყაროების მითითება და ანალიზი, რომლებსაც ს.წერეთელი, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებით, სათანადოდ არ წამოსწევდა და კმარჯის იმ წინასიტყვაობით იფარგლებოდა, რომელიც მან დაწერა ცნობილი წიგნისათვის - „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. ამ ნარკვევში ს.წერეთლის თეორიის უმთავრეს საფუძვლად მიჩნეულია პლატონის „პარმენიდეში“ წამოყენებული დასკვნის ის სახეობა, რომელიც 8 მსჯელობის არსებით ურთიერთკავშირს ეხება, როგორც აბსოლუტის სრული კომპლექსური ანალიზისათვის აუცილებელს.

2) „ცნების რუსთველისეული კონცეფცია“ (მ.მახარაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „ფილოსოფია და თანამედროვეობა“, გამომცემლობა „არსე“, თბილისი, 177-191).

ნაცადია პიროვნების რუსთველისეული გაგების ფილოსოფიური და თეოლოგიური საფუძვლების დადგენა

პლატონის, პავლე მოციქულისა და დიონისე არეოპაგელის მემკვიდრეობიდან. დასმულია საკითხი იმის შესახებ, ეს კავშირი უშუალოა, თუ იოანე პეტრიწის ნააზრევითაა გაშუალებული. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი არისტოტელეს არ ახსენებს, მას საგნის ცნების ნიშნებში, არისტოტელეს კვალად, არ შეაქვს კვლევის ობიექტის მატერიალურობა (შესაბამისად, სხეულებრიობა).

3) „ფილოსოფია თანამედროვე საქართველოში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №2, 128-136, ინგლისურ ენაზე)

„თანამედროვე“ გაგებულია, როგორც ი.სტალინის სიკვდილის შემდეგ საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიურ ძიებათა მომცველი პერიოდი. გაანალიზებულია XX ს. ქართული ფილოსოფიის კლასიკოსთა (შ.ნუცუბიძე, დ.უზნაძე, ს.დანელია, კ.ბაქრაძე, ს.წერეთელი) ამ წლების კვლევის შედეგები და 50-იანი წლების ბოლოდან ახალგაზრდა მკვლევართა (ნ.ჭავჭავაძე, ზ.კაკაბაძე, გ.ბანძელაძე, ო.ჯიოვი, გ.მარგველაშვილი და სხვ.) მოღვაწეობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 70-იანი წლების შემდგომ კვლევებს, რადგან ამ პერიოდამდე ქართული ფილოსოფია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ცნობილია კენტაკის უნივერსიტეტის (აშშ) პროფ. ე.გოუზარის ვრცელი ნარკვევით – „ფილოსოფია საბჭოთა საქართველოში“, რომელიც ბოსტონში გამოიცა 1978 წელს ცნობილ ჟურნალში „საბჭოთა აზროვნების შტუდიები“, №4.

4) „თ.ბუაჩიძის ფილოსოფიური მემკვიდრეობის მნიშვნელობა“ (კრებული „ნიცშეს შესახებ გამოკვლევები საქართველოში“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 164-172).

5) „ფილოსოფიის შესავალი“ (ჟურნალი „ფილოსოფიური განაზრებანი“, №3, თბილისი, 199-249).

გაანალიზებულია ფილოსოფიის ცნების ბუნება, მისი ძირითადი ნიშნები და ასპექტები. ნაჩვენებია „ფილოსოფიის შესავლის“, როგორც სასწავლო და საკვლევო დისციპლინის დამოუკიდებელი ადგილი ფილოსოფიის ისტორიისა და ასევე ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დასაბუთების თანამედროვე მცდელობათა გვერდით.

6) „მსოფლმხედველობრივი აზროვნება საქართველოში და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II“ (კრებული „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს“, თბილისი, 61-69).

ფილოსოფიურ და მსოფლმხედველობრივ ძიებათა ასპექტით ნაცადია ქართულ კულტურაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კეთილისმყოფელი გავლენის ჩვენება. წამოწეულია მის მიერ დავით აღმაშენებლიდან მომდინარე ქართული მართლმადიდებლობის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება: ცოდნისა და რწმენის აუცილებელი კავშირი და ყველა ადამიანზე შემწყნარებლობის გავრცელება, არა როგორც მოწყალების, არამედ როგორც საერთოდ ადამიანთა არსებითი, შინაგანი ერთიანობის გამოსატყულებისა.

აკად. მ.ლორთქიფანიძე

1) „ქართული ეროვნული თვითშეგნების საკითხისათვის“ (კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 101-103).

ქართული ეროვნული თვითშეგნების საწყისები ძვ.წ. II ათასწლეულიდან მოდის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა ენიჭება ძვ.წ. IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფოს შექმნას, ახ.წ. IV ს. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, XI-XV სს. ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობას.

მიუხედავად დამპყრობთა მიერ ერთიანი სახელმწიფოს დაშლის მცდელობისა, ქართველთა ეროვნული ერთიანობის თვითშეგნება ბოლომდე იქნა შენარჩუნებული.

2) „სახელმწიფოებრიობის საწყისისა და უწყვეტლობის საკითხისათვის საქართველოში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №3, 146-151, ინგლისურ ენაზე).

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ქართული სახელმწიფო, ერთიანი თუ დაშლილი სახით, არსებობდა XIX ს-ის დასაწყისამდე, რომლის სიმბოლო იყო „მეფე“. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ მოახდინა საქართველოს ანექსია, გააუქმა მეფის ხელისუფლება. შეწყდა ქართული სახელმწიფოს არსებობა. 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც იარსება 1921 წლის 25 თებერვლამდე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ მის ანექსიამდე. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

3) „იოსები საქართველოში“ (თანაავტორობით; ჟურნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, სტოკჰოლმი, შვედეთი, ტ. I (4), რუსულ და ინგლისურ ენებზე, 109-119, 127-138).

4) „ღია წერილი მოსკოვის მერს ბატონ ლუქოვს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ და "Свободная Грузия", 2007 წლის 11 დეკემბერი).

აფხაზ (აფსუა) ერს თვითგამორკვევის უფლება აქვს, მაგრამ საქართველოსაგან მისი ორგანული ნაწილის, აფხაზეთის მოწყვეტისა – არა.

5) „რეფორმა დაჩქარებულად, მექანიკურად გატარდა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 26 დეკემბერი).

აკად. რ.მეტრეველი

1) „ზარზმა – სიმბოლო სულიერებისა“ (ზარზმის მონასტრის ისტორიისადმი მიძღვნილი კრებული-ალბომი „ზარზმა“, სტამბოლი, 15-22).

2) „ილია II და ქრისტიანული აღმშენებლობა საქართველოში“ (კრებული „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს“, თბილისი, 41-60).

3) „სათავეებთან“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 18, 19 და 20 სექტემბერი).

მიმოხილულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების, მასში ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მონაწილეობისა და საქმიანობის (არქეოლოგიური, სამუზეუმო, საგამომცემლო და სხვ.) შესახებ.

4) „ეროვნული პრობლემა გლობალიზაციის კონტექსტში“ (ჟურნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, №3, სტოკჰოლმი, შვედეთი, 126-135, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

აკად. დ.მუსხელიშვილი

1) „საქართველოს ისტორიის ატლასი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 156-160, ინგლისურ ენაზე).

ატლასი ფაქტობრივად უნიკალურია ამ ტიპის ატლასების გამოცემებში, რამდენადაც ყოველ რუკაზე (სულ 67 ისტორიული რუკა) მოცემული ინფორმაცია, რომელიც ასახავს საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროცესს უძველესი ხანიდან დღევანდლამდე, დასაბუთებულია, პირველწყაროებზე მითითებით, თანდართულ „განმარტებით ტექსტში“. მიმოხილულია ქართველ ისტორიკოსთა, კერძოდ, ატლასის ავტორთა ის კვლევა-ძიება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გამოცემას.

2) „აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის“ („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, „აჭარა“, ბათუმი, 65-104).

ნაშრომი წარმოადგენს ნარკვევების ერთ-ერთ თავს, რომელშიც განხილულია აჭარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან დღემდე. კერძოდ, დადგენილია ისტორიული აჭარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრების ცვლილებების პროცესი, უძველესი მეტალურგიული ცენტრები. გამოკვლეულია მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობა, უძველესი დემოგრაფიული პროცესები, მხარის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები.

3) „ევესტათე მცხეთელის მარტვილობის თარიღი და VI-VII საუკუნეების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ („ანალები“, №1, 61-103).

უკანასკნელ ხანს ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო მცდელობა გადათარიღდეს ეს უძველესი ისტორიული ძეგლი, რომელიც ასახავს აღნიშნული საუკუნეების ქართლის სამეფოს პოლიტიკური და კულტურული ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენებს. დასაბუთებულია ამ მცდელობის უსაფუძვლობა და ახლებურადაა დასმული ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი არსებითი საკითხი.

4) „ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“ („მნათობი“, №1, 132-137; „ლოგოსი“, IV, 351-355).

ნაჩვენებია ადრეული შუა საუკუნეების ქართლის საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკა ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესში.

5) „საქართველოს სახელმწიფო დროშა“ („მნათობი“, №3, 133-139; „ანალები“, №1, 428-439).

დასაბუთებულია, რომ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშა ფაქტობრივად არის ის „სეფე დროშა“, რომელიც ჰქონდა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას XII-XIV საუკუნეებში.

6) „სიტყვა, წარმოთქმული 2005 წლის 16 ოქტომბერს მეცნიერთა ყრილობაზე“ („ანალები“, №1, 14-18; „მნათობი“, №5, 125-128).

აკად. შ.ნადირაშვილი

1) „უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია II ქართველი ერის სულიერების მფარველი“ (კრებული „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს“, თბილისი, 79-83).

ნაშრომი ეხება პატრიარქ ილია II-ის ეპისტოლეებში აღძრულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ასეთებია, კერძოდ, სასკოლო ასაკის ბავშვებში ანალიტიკური აზროვნების განვითარება, ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ მუშაობა და პატრიარქის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტები – ღმერთი, სამშობლო (ერი) და ადამიანი. მათი გათვალისწინება აუცილებელია ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

2) „განწყობის ანთროპული თეორიის ძირითადი თავისებურებანი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №4, 146-153, ინგლისურ ენაზე).

გამოყოფილია განწყობის სამი ფორმა: სენსორული, სენსომოტორული და სოციალური განწყობები. მათი ფორმირება და მოქმედება სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. განწყობათა თავსებადი მიკროსისტემა იქმნება ოთხი სახის დადებითი და უარყოფითი განწყობების ერთობლიობის საფუძველზე. დადებითი და უარყოფითი განწყობების სპეციფიკური ერთობლიობა კი განწყობათა არათავსებად მიკროსისტემას ქმნის. ჩამოყალიბდა განწყობის ანთროპული თეორია, რომელიც სა-

შუალეხას იძლევა გაგებული და ახსნილი იქნეს ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტივობის ძირითადი კანონზომიერებანი. განწყობის ორფაქტორიანი და ერთკომპონენტიანი თეორიისაგან განსხვავებით, ჩამოყალიბებულია განწყობის სამფაქტორიანი და სამკომპონენტიანი თეორია. იგი დ.უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

3) „გამოუცხადებელი, ფარული და ფსიქოლოგიური ომის თავისებურებანი“ (სტატია მომზადდა დასაბუქდად საქართველოს სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელობის დაკვეთით).

განხილულია გამოუცხადებელი ომი ფარული საშუალებებით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდებით. ფსიქოლოგიური ომის პროგრამები ზეგავლენას ახდენს შესაბამისი ქვეყნის, ხალხისა და ხელისუფლების ფსიქიკაზე და ორიენტაციაზე. ამ გზით შესაძლებელია ქვეყანას შეუქმნან მისი საწინააღმდეგო იდეოლოგია და ორიენტაცია. ამის შედეგად ქვეყანა თვითონ აშკარა შეიარაღებული ომის გარეშე უარს ამბობს თავის ეროვნულ ამოცანებზე. ასეთი ზემოქმედებისაგან თავის დაცვის საჭირო სისტემების დაპირისპირება აგრესიულად მოქმედ სისტემებთან ქმნის ფსიქოლოგიურ ომს.

აკად. ო.ჯაფარიძე

1) „ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოღმენები“ („ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, №17-18, თბილისი).

კავკასიის დოღმენების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი აზრი იყო გამოთქმული. დოღმენების მშენებელი ტომები კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში უნდა გამოჩენილიყვნენ ძირითადად ყუბანისპირეთში და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში. კოლხეთში დოღმენურმა კულტურამ, ჩანს, ფეხი ვერ მოიკიდა და უფრო ადრე წყვეტს აქ არსებობას.

ყუბანისპირეთში დოღმენების მშენებლობის ტრადიცია უფრო დიდხანს შემორჩა და ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებამდე გაგრძელდა.

2) „ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი პირველყოფილი ეპოქის სათავეებთან“ (საიუბილეო კრებული „თამარ გამსახურდია – 70. მშვენიერება მოსილი სევდით“, „ნეკერი“, თბილისი, 331-339).

კოლხეთი, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ძველი ქვის ხანის, პალეოლითის მთელ მანძილზე ფართოდ იყო ათვისებული პირველყოფილი ადამიანის მიერ. უფრო აქტიურად ამ მხარეს ადამიანი ჰოლოცენის დადგომისას ითვისებს. ჩანს, აქ ადრე ვითარდება მეურნეობის ახალი ფორმები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ლითონის ხანის გარიჟრაჟზე ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი კიდევ უფრო ინტენსიურადაა დასახლებული. როგორც ჩანს, ყუბანისპირეთში მოსახლეობის გადაადგილების პროცესი, დაწყებული წინარე ხანაში, არც ამ დროს შენელებულა. ამ პერიოდში, ეტყობა, საგრძნობლად ძლიერდება მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, რასაც კავკასიაში კარგად წარმოდგენილი წინააზიური წარმომავლობის კერამიკული ნაწარმი უნდა მოწმობდეს. ჩანს, სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი გზა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე გადიოდა. ამ დროს ყუბანისპირეთში მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა და პირველყოფილი ეპოქის რღვევა უკვე საკმაოდ შორს წასული უნდა ყოფილიყო, რაც სამხრეთელი მიგრანტების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. კოლხეთი, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ამ მოვლენის მიღმა აღმოჩნდა. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ კარგად იგრძნობა ნეოლითური კულტურის ტრადიციები.

3) „კოლხური კულტურის ადრეული ეტაპი აჭარის ტერიტორიაზე“ („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის-

ტორიის ნარკვევები“ ტ. I, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი ბრინჯაოს ინდუსტრიის შემდგომი დაწინაურებით და, საერთოდ, მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესით ხასიათდება. ამ პერიოდში კოლხეთში კოლხური კულტურის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, აჭარის მიწა-წყალი, ის რეგიონი უნდა ყოფილიყო, სადაც კოლხურ კულტურას ჩაეყარა საფუძველი. აქ უნდა ჩამოყალიბებულიყო კოლხური კულტურის თითქმის ყველა წამყვანი სამეურნეო ხასიათის იარაღი, რამაც მის აყვავებასა და შემდგომ დაწინაურებას შეუწყო ხელი. ამ დროს, ჩანს, მძლავრად ამოქმედდა ჭკოროხის მეტალურგიული ცენტრი. ცხოვრების საერთო დონის ამაღლებამ, ქვეყნის შიგნით სტაბილურმა ვითარებამ გამოიწვია მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი ზრდა, დასავლეთ საქართველოს დასახლების პროცესის გააქტიურება და მისი მთისა და ბარის ინტენსიური ათვისება. ამ ეტაპის ბოლოს დასრულდა ერთიანი კოლხური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი.

აკად. წევრ-კორ. ვაპაპავა

1) „გამორიცხავს კი ბაზარი თანასწორობას?“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 0,4 ნ.თ.).

2) „რუსეთის არალიბერალური „ლიბერალური იმპერია“ (ინტერნეტული გამოცემა „Project Syndicate, ჩეხეთი; ინგლისურ, ესპანურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ჩეხურ, ჩინურ და არაბულ ენებზე, 0,1 ნ.თ.).

სტატია გამოქვეყნდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთებში.

3) „ეკონომიკური რეფორმების არსის შესახებ საქართველოში, ანუ რამდენად ევროპულია პოსტრევოლუციური საქართველოს ევროპული არჩევანი?“ (ინტერ-

ნეტული გამოცემა „ТЕРАV“, თურქეთი, 0,7 ნ.თ., ინგლისურ ენაზე, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 1,0 ნ.თ.).

4) „ნეკროეკონომიკის საფუძვლები და საქმიანი აქტიურობის განვითარება რეკოლუციის შემდგომ საქართველოში“ (თანაავტორობით; ჟურნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, №3, სტოკჰოლმი, შვედეთი, 1,1 ნ.თ., ინგლისურ და რუსულ ენებზე).

5) „სავალუტო ფარი“ „ჰოლანდიური სენის“ ფონზე“ (ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, 0,2 ნ.თ., ქართულ და ინგლისურ ენებზე)

6) „მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და დაგეგმვის თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში“ (თანაავტორობით; ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №6, 0,7 ნ.თ.).

აკად.წევრ-კორ ა.სილაგაძე

„ფინანსური პოლიტიკის განვითარება საქართველოში“ (პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია).

აკად-წევრ.კორ. კ.ფიცხელაური

1) „სახელმწიფოებრიობის სათავეებთან კავკასიაში“

2) „ნაზარლების არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოების ანგარიში“ (კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე – „ამირანი“, №XVII-XVIII, 9-55).

სახელმწიფოებრიობის სათავეების ძიების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია საქართველოს ისტორიოგრაფიაში. ამ მიმართულებით მუშაობისას ძირითადად ძველადმოსავლური, ბერძნული, რომაული და ძველი ქართული წერილობითი წყაროებით ხელმძღვანელობდნენ. ბოლო დროს ივრის ზეგანზე გამოვლინდა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების პროტოქალაქური დასახლებების მთელი სისტემა, რომლის არქეოლოგიური შესწავლა მეტ სიცხადეს შეიტანს ამ პრობლემის მეცნიერულ დამუშავებაში. ამ საფუძველზე შესაძლოა, რომ კარდი-

ნალურად შეიცვალოს კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი სახელმწიფოების აღმოცენებისა და განვითარების კვლევის პერსპექტივა – ერთ ბლოკში გაერთიანდეს იგი წინააზიურ ცივილიზაციებთან და სრულიად ახლებურად დადგეს ამ რეგიონში სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების პრობლემა. თავისი მნიშვნელობით და მასშტაბებით ეს საკითხი კავკასიის ფარგლებს სცილდება და მისი შესწავლა, მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივად, ღრმად გააზრებული და კარგად დაგეგმილი პროგრამის განხორციელების საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი.

აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძე

1) „პლატონ იოსელიანი და დიმიტრი ბაქრაძე ახალი პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების სათავეებთან“ (ნიკო ბერძენიშვილის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი, 0,5 ნ.თ.)

მოცემულია XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლების პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის მეცნიერული შემოქმედების ეთნოგრაფიული სიუჟეტები. ნაჩვენებია მათი ადგილი და როლი ახალი პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარება-ჩამოყალიბების საქმეში.

2) „ღვაწლმოსილი მეცნიერის სახელოვანი იუბილე“ (ალექსი რობაქიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებული, თბილისი, 0,5 ნ.თ.).

გაშუქებულია ა.რობაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალი. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ცნობილი მეცნიერების (კ.ჩისტოვი, ვ.გარდანოვი, ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი და სხვ.) იმ შეფასებებზე, რომლებიც მკვლევარის მეცნიერულ შემოქმედებასა და მის ორგანიზაციულ ნიჭსა და უნარს შეეხებიან.

3) „ეთნოგრაფიული ასპექტების დოკუმენტური ასახვა ქართულ კინოფილმებში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა – უახლესი არქეოლოგიური და ეთნოლოგიური გამოკვლევები კავკასიაში“, მახაჩყალა, რფ, 0,5 ნ.თ., რუსულ ენაზე).

განხილულია XX ს-ის 30-იანი წლების ცნობილი ქართული კინოფილმები „სვანეთის მარილი“ და „ელისო“. გაანალიზებულია ამ ფილმებში მოცემული დოკუმენტური სიუჟეტების ადგილი და როლი ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის.

4) „ალექსი რობაქიძე და ქართული კავკასიათმცოდნეობა“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა – უახლესი არქეოლოგიური და ეთნოლოგიური გამოკვლევები კავკასიაში“, მახაჩყალა, რფ, 0,5 ნ.თ., რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია ა.რობაქიძის მეცნიერული შემოქმედების ძირითადი მიმართულებები, მისი წვლილი ქართულ-კავკასიური ეთნო-კულტურული და ეთნო-გენეტიკური ურთიერთობის კვლევაში.

5) „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მახაჩყალაში“ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, XIX, ბათუმი, 1 ნ.თ.).

მოცემულია 2007 წლის 2-10 ოქტომბერს ქ.მახაჩყალაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის -- „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა“ -- ვრცელი ანგარიში.

აკად. წევრ-კორ. დ.ჩარკვიანი

„პერცეფტული ეტალონების მოქმედება არჩევანის ვითარებაში“ (ჟურნალი „ფსიქოლოგია“, ტ. IV, 137-141).

გამოყოფილია პრობლემურ ვითარებათა შემეცნებისა და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღების ალგორით-

მული და ევრისტიკული სტრატეგიების სპეციფიკური მახასიათებლები. ნაჩვენებია, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ამ სტრატეგიების ფუნქციონირების თავისებურებათა შორის განსხვავება მინიმალურია, ხოლო ზოგიერთში – მაქსიმალური. რომელ სტრატეგიას გამოიყენებს ადამიანი რეალურ ცხოვრებისეულ ვითარებაში იმით განისაზღვრება, თუ როგორი ამოცანის გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე. სტატიკური („სტანდარტული“) ამოცანების (მაგალითად, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები) გადაწყვეტაში მიზანშეწონილია ალგორითმული სტრატეგიების გამოყენება. ახალი და რთული ამოცანების არსებობის შემთხვევაში, რომელთათვის განუსაზღვრელობის მაღალი დონეა დამახასიათებელი (მაგალითად, რომელიმე გუნდის მოგებაზე ფსონის დადება) საჭიროა ევრისტიკული გადაწყვეტილებების გამოყენება. ამგვარ ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში სუბიექტი ან ჯგუფი ძირითადად პერცეფტულ და ინტუიციურ მსჯელობებს ეყრდნობა. ხაზგასმულია, რომ ადამიანის წინაშე მდგარი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის ფორმა ხშირად ნორმატიულ პრინციპებს (მაგალითად, სარგებლიანობის მაქსიმიზაციისა და ინფორმაციის გადამუშავების Bayes-ის რაციონალური წესები) არღვევს და „შეზღუდული“ რაციონალობით ნაკარნახევ ხერხებს იყენებს. ამგვარი სააზროვნო სტრატეგიების გამოყენება ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავა

1) „ახალი ეკონომიკა: არსი და ძირითადი მახასიათებლები“ (ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №1, 16-19).

ახალი, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც კაცობრიობა თანდათანობით შედის, მაგრამ უცილობლად და სულ უფრო მზარდი ტემპებით. მისი ძირითადი მახასიათებლებია: ცოდნის გადაქცევა მთავარ საზოგადოებრივ

სიმდიდრედ და ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტ ფაქტორად, რადიკალური ძვრები წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ინტენსიურად დანერგვა წარმოებაში, ცოდნის, როგორც საქონლის როლის ამაღლება, დაჩქარებული ტემპებით ეკონომიკის ინოვაციური სექტორის განვითარება, დასაქმებულთა განათლების დონის ამაღლება, ინტელექტუალური დარგების დაჩქარებული განვითარება, სწრაფი ტემპებით საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების განვითარება, ცოდნის ექსპორტის გაზრდა და სხვ.

2) „ქართულ გენოფონდს გადაშენების საფრთხე ემუქრება“ (ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №1, 17-24).

ნაჩვენებია, რომ საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისათვის დამახასიათებელია შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი – დეპოპულაცია. საქართველო შედის მსოფლიოს იმ 11 ქვეყნის შემადგენლობაში, რომელთა გენოფონდს გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრება. ასეთ ტენდენციას, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, ობიექტური ფაქტორებიც განსაზღვრავს. იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ბავშვთა შობის შედაოჯახური რეგულირება და მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე (მცირეშვილიანობაზე) გადასვლა. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ამ ნეგატიურ ტენდენციას რადიკალურად ვერ შეცვლის, მაგრამ დემოგრაფიული განვითარების ნორმალიზებაში თვალსაჩინო წვლილს უსათუოდ შეიტანს.

3) „დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ (ჟურნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, ტ. 1(2), სტოკჰოლმი, შვედეთი, 25-31, რუსულ ენაზე).

სომხეთი ჯერჯერობით ინარჩუნებს დემოგრაფიული განვითარების საშუალო მაჩვენებლებს, აზერბაიჯანში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაღალია, ხოლო საქართველოში იგი ნეგატიური ტენდენციით ხასიათდება და დეპოპულაციას განიცდის. ამის მთავარი მიზეზია, აზერბაიჯანთან შედარებით, დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე საქართველოს გადასვლა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე (მცირეშვილიანობაზე). ამითაა განპირობებული სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (პირველ რიგში ქართველების) ხვედრითი წონის თანდათანობით შემცირება.

4) „უთანასწორობა შემოსავლის განაწილებაში და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები“ (ქურნალი „ეკონომიკა“, №11-12, 25-31).

ნაჩვენებია, რომ მსოფლიოს არაერთ ქვეყანასა და რეგიონში შეიმჩნევა მკვეთრი უთანასწორობა შემოსავლის განაწილებაში, რომელიც დროთა ვითარებაში კი არ მცირდება, არამედ ღრმავდება. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 500 ადამიანის ერთობლივი შემოსავალი საგრძნობლად აღემატება დედამიწის მოსახლეობის 416-მილიონიანი უღარიბესი ნაწილის ერთობლივ შემოსავალს. ჯინის კოეფიციენტის მიხედვით სახელმწიფოებს ყოფენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან ქვეყნები, რომლებშიც ეს მაჩვენებელი 0.50-ს აღემატება, მეორეში – ქვეყნები, რომლებშიც იგი საშუალო დონეზეა (0.30-დან 0.50-მდე), ხოლო მესამეში – ქვეყნები, რომლებშიც ჯინის კოეფიციენტი შედარებით დაბალ (0.30-მდე) დონეზეა. ჯინის კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (0.71) ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (0.25) თითქმის 3-ჯერ აღემატება, რაც შემოსავლის განაწილებაში უთანაბრობის თვალსაზრისით მსოფლიოში უზარმაზარი უფსკრულის არსებობაზე მიგვანიშნებს.

აკად.წევრ-კორ. ჯ.ხეცურიანი

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და კონსტიტუციური შეთანხმება“ (კრებული „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს“, თბილისი, 97-102).

გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადების წინაპირობები, ქართული ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის ისტორიული ასპექტები და კონსტიტუციური შეთანხმების, როგორც თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის მნიშვნელობა. ნაჩვენებია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დვაწლი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ამ სამართლებრივი ფორმის განსაზღვრაში, კონსტიტუციური შეთანხმების აქტის მომზადებასა და მიღებაში. საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული კონსტიტუციური შეთანხმებიდან გამომდინარე იმ სამართლებრივ აქტებზე, რომელთა მიღების აუცილებლობაზე მიუთითებს ქართული ეკლესიის მეთაური.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში. აკად.წევრ-კორ. ჯ.ხეცურიანმა დაამუშავა თემა – „სახელმწიფოს მმართველობის ფორმები საქართველოში“, აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძემ – „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ზემო აჭარაში“. აკად.წევრ-კორ. კ.ფიცხელაური ხელმძღვანელობდა ორ ქართულ-გერმანულ არქეოლოგიურ ექსპედიციას და იმყოფებოდა ბერლინში, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილებაში, სადაც მუშაობდა მონოგრაფიაზე „სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილი ძვ.წ. II-I ათასწლეულებში“.

აკად. რ.მეტრეველი სახელმწიფო გრანტის ფარგლებში ისტორიკოსთა ჯგუფთან (19 კაცი) ერთად მუშაობდა პრობლემაზე „საქართველო და გარე სამყარო“. აკად. წევრ-კორ. ა.სილაგაძემ გისენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად დაამუშავა პროექტი (საერთაშორისო გრანტის ფარგლებში) „მიწის პრივატიზება საქართველოსა და მოლდოვაში“. აკად. წევრ-კორ. ვ.შამილაძე ხელმძღვანელობდა საგრანტო თემას – „ეთნოგრაფიული აჭარა“. აკად. დ.მუსხელიშვილმა მოიპოვა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციების, სესიებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში.

აკად. ლ.ალექსიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე – „ბალკანეთისა და შავი ზღვის ქვეყნებში საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა“ (ქ.კომოტონი, საბერძნეთი), ევროპის საბჭოს ფარგლებში მოწვეული რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო კომისიის მრგვალი მაგიდის მუშაობაში (ქ.თბილისი).

აკად. გ.თევზაძე მონაწილეობდა: ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ერთობლივ კონფერენციაში – „ანტიკურობა და შუა საუკუნეები“; მ.მამარდაშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ს.წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი); ზ.კაკაბაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში (ს.წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი); კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის მორიგი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (ქ.მასხაჩყალა, რფ) მოსამზადებელ სამუშაოებში.

კავკასიოლოგთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე (თსუ, თბილისი) აკადემიკოსებმა მ.ლორთქიფანიძემ და ო.ჯაფარიძემ გააკეთეს მოხსენებები: „ქართული ეროვნული თვითშეგნების საკითხისათვის“ და „კავკასიის უძველესი მოსახლეობის ადრეული ეთნოგენეზის საკითხები“.

ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აკად. მ.ლორთქიფანიძის დაბადების 85 წლისთავს.

აკად. რ.მეტრეველმა მონაწილეობა მიიღო: მსოფლიო ისტორიკოსთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში (ქ.პეკინი, ქ.შანხაი, ჩინეთი); დსთ-ს ქვეყნების ისტორიის ინსტიტუტთა საერთაშორისო ასოციაციის მუშაობაში (ქ.კიევი, უკრაინა); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის დავალებით მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის მუშაობაში (ქ.კიევი, უკრაინა).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შედგა აკად. შ.ნადირაშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენცია.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპავამ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის – „დემოკრატიული ტრანსფორმაცია“ (ქ.ფილადელფია, აშშ) და კონფერენციის – „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის პერსპექტივები“ (ქ.სტამბოლი, თურქეთი) მუშაობაში.

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძემ წაიკითხა მოხსენება ევროპის ეკონომიკურ ფორუმზე „საბანკო სისტემის განვითარება საქართველოში“ (ქ.კრინიცა, პოლონეთი).

აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძემ ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის საქართველოს ასოციაციის ამერიკათმცოდნეობის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (ქ.თბილისი) წაიკითხა მოხსენება „კულტურული

პლურალიზმი თანამედროვე ამერიკის ეროვნულ პოლიტიკაში“ და ორი მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა – უახლესი არქეოლოგიური და ეთნოლოგიური გამოკვლევები კავკასიაში“ (ქ.მახაჩყალა, რფ); მოხსენებით გამოვიდა კონფერენციაზე „ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!“ და ორი მოხსენებით კონფერენციაზე „შავი ზღვის აუზის ქვეყნების კულტურის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის ინოვაციური ასპექტები“ (ქ.ბათუმი).

აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავამ წაიკითხა მოხსენება სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა საკითხს: „ნატო-საქართველო. პლუსი და მინუსი“.

აკად.წევრ-კორ. ჯ.ხეცურიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.